ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №ს-109

ქ.თბილისი 18.09.2012წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ბერიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯორჯიან ექსპრესი"-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში შემდგომში წოდებული როგორც „DHL" (შემდგომში - მიმწოდებელი) დირექტორის მალხას პაპელაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შედეგად, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია მომსახურების (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.

1.2 მომსახურების შესყიდვა გულისხმობს წერილებთან დაკავშირებულ საფოსტო მომსახურებას (CPV-64112000) (გზავნილი: აშშ-საქართველო)

1.3 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.

შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 192,41 (ას ოთხმოცდა ორმეტი ლარი და 41 თეთრი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადების გათვალისწინებით, დდგ-ს ჩათვლით.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

3.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #105

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მომსახურების გაწევისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთარი სახსრებით.

5.2. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტი აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.3. ანაზღაურების ადგილია ქ.თბილისი.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს ინსპექტირება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
  მოსთხოვოს მიმწოდებელს ინსპექტირებისას გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დასახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.5. განახორციელოს სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი" -სათვის განკუთვნილი გზავნილის აშშ-დას საქართველოში ტრანსპორტირება.

6.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულების შესრულების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაზე ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

1.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით უწესებს მას დამატებით ვადას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის.

1.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ დამატებით ვადაში ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

1.4. ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.2 პროცენტის ოდენობით.

1.5. თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

ფორს-მაჟორული სიტუაციები

1.6. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

1.7. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

1.8. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.

1.9. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში მეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.10. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

დავა და მისი გადაწყვეტის წესი

1.11. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

1.12. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სხვა პირობები

1.13. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.14. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

1.15. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

1.16. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი"
თბილისი, გორგასლის ქუჩა №24
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE62BG0000000522975000
საიდენტიფიკაციო კოდი: 204423230

დირექტორი
ნინო ბერუაშვილი

შპს „ჯორჯიან ექსპრესი-ს" წარმომადგენელი
საქართველოში მემდგომში წოდებული „DHL"
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #105,
საბანკო რეკვიზიტ.: სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE70BG0000000391050200
ბ/კ BAGAGE22 ს/კ 201954965

დირექტორი
მალხაზ პაპელაშვილი